საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 358

22/10/2025

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

"საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - "საქპატენტის" თავმჯდომარის 2025 წლის 29 სექტემბრის №327 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2025 წლის 29 სექტემბრის №327 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს პერიოდი: 2025 წლის 01 ოქტომბრიდან – 14 ნოემბრის ჩათვლით.“

2. დაევალოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის სამდივნოს უზრუნველყოს საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის ცვლილების შესახებ ინფორმაციის საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო